საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №452
2023 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველი – 4016 – „სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელტა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალრა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„381	4016	სსიპ „სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“;

ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„406	4044	სსიპ – ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა;
485	4125	ააიპ – თბილისის მედიათეკების გაერთიანება“;

გ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5166 – ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„1520[7]	5167	ა(ა)იპ „გორის მუნიციპალური ინსპექცია“;
1520[8]	5168	ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი“;

2. დანართ №3-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი – 3066 – „მოსაკრებელი საბანკო საქმიანობის, არასაბანკო-სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, საბროკერო საქმიანობის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, აქტივების მმართველის საქმიანობის და სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზირებიდან“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოსაკრებელი საბანკო საქმიანობის, მიკრობანკის საქმიანობის, არასაბანკო-სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, საბროკერო საქმიანობის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, აქტივების მმართველის საქმიანობის და სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზირებიდან	3066“;

ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის“ მზიურის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7352 “.“

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**